ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2025 წლის 27 მარტი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.141.016435) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.მოქალაქისათვის სამედიცინო/ფარმაცევტული/მომსახურების დაფინანსების შემთხვევაში საგარანტიო წერილის გაცემისას, საგარანტიო წერილის ვადა განისაზღვროს 2 თვის ვადით. სამედიცინო/ფარმაცევტული/დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვა მოხდება შესრულებული სამუშაოს სამედიცინო/ფარმაცევტული დაწესებულების მიერ მოსარგებლისთვის მიწოდებული მედიკამენტების რაოდენობის/სამედიცინო მომსახურებისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. სამედიცინო/ფარმაცევტული დაწესებულება პასუხს აგებს წარდგენილ ინფორმაციის სიზუსტეზე“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნაირი ირიციან**